


სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში


„24—12“ 2013 წელი

2 გზ.

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი“

აუდიტის ანგარიში № 20/105

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	4
პირობითი მოსაზრება	10
ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები/ნაკლოვანებები	10
შიდა კონტროლების სისუსტეები	10
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	11
ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა.....	11
ხელფასები და პრემიები	11
სახელმწიფო შესყიდვები.....	12
აქტივების გამოყენება	12
ანგარიშგების ფორმები	13

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ 2012 წლის ბალანსის, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებების, ასევე ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად და ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთივის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უნივერსიტეტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

- საბუღალტრო და საბალანსო მონაცემებს შორის სხვაობა 500,6 ათას ლარს შეადგენს. ამასთან საბუღალტრო მონაცემებში არ არის აღრიცხული უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული 224,4 ათასი კვ.მ. სასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

1. საბალანსო მონაცემების შესაბამისად, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უნივერსიტეტს ერიცხებოდა 6990,8 ათასი ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივები, რაც 28,6 ათასი ლარით მეტია საბუღალტრო მონაცემებზე. სხვაობებია: მანქანა-

დანადგარები და ინვენტარის მუხლში - 22,7 ათასი ლარი და სხვა ძირითადი აქტივების მუხლში - 5,9 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესაბამისად, უნივერსიტეტს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთად ერიცხება 6695,5 ათასი ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივები, რაც 295,3 ათასი ლარით ნაკლებია საბალანსო მონაცემებზე.

აუდიტის პერიოდში მოკვლეული მასალებით ირკვევა, რომ უნივერსიტეტის საბუღალტო მონაცემებში არ არის აღრიცხული, მის სარგებლობაში (საჯარო რეესტრის მონაცემები) რიცხული 224,4 ათასი კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. თუმცა 2012 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციაში, აღნიშნული მიწის ნაკვეთი შეყვანილია დასაბეგრი აქტივების შემადგენლობაში.

2. ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშში (ბალანსის დანართი ფორმა N4), სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების სახით ფიქსირდება 10706,6 ათასი ლარი. საბუღალტო მონაცემების შესაბამისად ამ მუხლით მიღებული შემოსავლები 10507,7 ათას ლარს შეადგენს, რასაც უნდა დაემატოს, საბანკო ანგარიშზე ფულადი სახსრების განთავსებისათვის პროცენტის სახით მიღებული 362,0 ათასი ლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით უნივერსიტეტის 2012 წლის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები 10869,7 ათას ლარს შეადგენს, რაც 160,4 ათასი ლარით მეტია ბალანსის დანართი ფორმა N4-ში დაფიქსირებულ მონაცემზე.

3. ბუღალტრული მონაცემების შესაბამისად გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის სახით საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს ერიცხება შესაბამისად, 1,0 ათასი ლარი და 2,2 ათასი ლარი კრედიტორული დავალიანება, მაშინ როცა ბალანსში ფიქსირდება შესაბამისად 2,3 ათასი ლარი და 2,2 ათასი ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის ნაშთი, 2011 წლის ბოლოს (2011 წლის ბალანსის შესაბამისად) 1,0 ათას ლარს შეადგენს, ხოლო 2012 წლის ბალანსში კი აღნიშნული მუხლის საწყისი ნაშთი 2,3 ათასი ლარითაა განსაზღვრული.

4. წმინდა ღირებულების (ანგარიშ.5100) ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბუღალტო მონაცემების შესაბამისად 6744,0 ათას ლარს შეადგენს, ბალანსში კი - 6729,0 ათასი ლარითაა განსაზღვრული.

- არასწორადაა აღრიცხული აუდიტის პერიოდში განხორციელებული 2125,8 ათასი ლარის ფინანსური ოპერაცია. ამასთან შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის პირობებში ხარჯებში გაწერილია 26,4 ათასი ლარი.

1. წმინდა ღირებულების ანგარიშზე ბალანსის დანართი ფორმა N3-ში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული 2005,0 ათასი ლარი, ნაცვლად ბიუჯეტიდან მიღებული დაფინენსებისა (ანგარიში 4100) ასახულია შემოსავლების ანგარიშზე (ანგარიში 6000)¹.

2. უნივერსიტეტის დაკვეთით, 2012 წელს ჩატარებული სამშენებლო სამუშაოებიდან, 120,8 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები არ არის აღიარებული ძირითად აქტივებად. აღნიშნული სამუშაოების ჩატარებით მოხდა ძირითადი აქტივების კაპიტალური შეკეთება, რითაც არსებითად გაუმჯობესდა ძირთადი აქტივების ხარისხი და გაიზარდა სასარგებლო მომსახურების ვადა, შესაბამისად სარემონტო და სამშენელო სამუშაოების ღირებულებით უნდა გაზრდილიყო ძირითადი აქტივების ღირებულება².

3. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 22 ივნისის N09 გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესდა სტუდენტების ქვეყნის შიგნით საველე პრაქტიკაზე, სტუდენტურ კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებზე მონაწილეობისათვის ხარჯების ანაზღაურების წესი, რომლის შესაბამისადაც დღიური ნორმა განისაზღვრა 15 ლარის ოდენობით, ხოლო მგზავრობის ხარჯების ნორმა - ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით, დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე ე.წ „ეკონომიკასის“ ბილეთის ღირებულების გათვალისწინებით.

აუდიტის პერიოდში, აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში სხვა ხარჯების მუხლით გაწეულია 26,4 ათასი ლარის ხარჯი, რაზედაც არ არის წარმოდგენილი შესაბამისი პირველადი დოკუმენტები³.

¹ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული

„ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 33-ე მუხლის 1 პუნქტი.

² შეუსრულებელია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-5 და 24-ე მუხლის მე-14 და მე-19 პუნქტების მოთხოვნები.

³ შეუსრულებელია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტებისა და მე-9 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნები.

- საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით ერთობლივ შემოსავალში არ არის აღრიცხული 118,4 ათასი ლარი.

1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 24 დეკემბრის N08 გადაწყვეტილების შესაბამისად, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებიდან 11 სტუდენტი გათავისუფლდა სწავლის ქირისაგან. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სწავლის ქირის შესაბამისად, აღნიშნული არარეზიდენტი ფიზიკური პირების სწავლის ქირა საერთო ჯამში 38,4 ათას აშშ დოლარს (64,1 ათასი ლარი) შეადგენს. მათ შორის 2011 წელს -19,0 ათასი აშშ დოლარი და 2012 წელს 19,4 ათასი აშშ დოლარი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით აღნიშნული თანხა არ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის ერთობლივ შემოსავალში⁴.

2. უნივერსიტეტს საბალანსო მონაცემების შესაბამისად 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2006 წელს თანამშრომლებზე გაცემული სესხის სახით დებიტორულ დავალიანებად ერიცხება 5,5 ათასი ლარი. ამასთან, 2007 წლიდან ანუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის შემდეგ, სესხის დაუბრუნებლობის მიუხედავად საპროცენტო სარგებლის თანხა დარიცხული არ არის. არსებული საბუღალტრო მონაცემებისა და სასესხო ხელშეკრულებების შესაბამისად, საპროცენტო სარგებლის სახით დასარიცხია და შესაბამისი პერიოდის ერთობლივ შემოსავალში გასათვალისწინებელია 5,2 ათასი ლარი.

3. აუდიტის პერიოდში მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად, აუდიტის პერიოდში სტამბის მიერ, მიღებული დაკვეთების გათვალისწინებით დამზადებულია 27,7 ათასი ლარის ღირებულების საქონელი. საბუღალტრო მონაცემების შესაბამისად აღნიშნული საქონელიდან, რეალიზებულად ნაჩვენებია მხოლოდ 18,8 ათასი ლარის ღირებულების საქონელი, ხოლო 8,9 ათასი ლარის ღირებულების საქონელი საბუღალტრო აღრიცხვაში არ ფიქსირდება და შესაბამისად არც უნივერსიტეტის ერთობლივ შემოსავალშია გათვალისწინებული.

4. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 30 აპრილის N03 გადაწყვეტილების შესაბამისად, სსიპ „სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა“ და სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს“ შორის 2012 წლის 20 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება N104, სტუდენტებზე პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის გაცემის საფასურის ანაზღაურების შესახებ. ხელშეკრულების შესაბამისად მოწმობის გაცემის საფასური 20 ლარს შეადგენს და ის ეხება იმ სტუდენტებს,

⁴ შეუსრულებელია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 102 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები

რომლებიც განაცხადის წარდგენის მომენტში, სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ წარმოებულ საგანმათლებლო დაწესებულებების რეესტრში რეგისტრირებულნი არიან როგორც ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი და არ აქვთ შეჩერებული სტუდენტის სტატუსი.

წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად, 2012 წელს, სსიპ „სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს“ მიერ ამ კატეგორიის სტუდენტებზე დამზადებულია 2012 ცალი მოწმობა, რისთვისაც უნივერსიტეტს გადარიცხული აქვს 40,2 ათასი ლარი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 102 -ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებისას ერთობლივ შემოსავალში ასახვას ექვემდებარება ამ საქონლის საბაზრო ფასი. შესაბამისად, სტუდენტებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მოწმობების ღირებულება 40,2 ათასი ლარი ექვემდებარებოდა უნივერსიტეტის ერთობლივ შემოსავალში ჩართვას.

- მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების/კურსების სწავლის საფასურის გადაუხდელი ნაწილი 97,3 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის დარღვევით, მთლიანად საერთო საუნივერსიტეტო ხარჯების ნაწილზე მოდის.

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებების საფუძველზე, უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტების სტრუქტურულ ერთეულებად ჩამოყალიბდა და სააუდიტო პერიოდში ფუნქციონირებდა 4 კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების/კურსების შემსწავლელი ცენტრი. უნივერსიტეტის საბუღალტრო მონაცემების შესაბამისად, 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აღნიშნული ცენტრების მსმენელთა სწავლის გადასახადის დავალიანება 169,6 ათას ლარს შეადგენდა. 2012 წელს სწავლის გადასახადის სახით დაერიცხა 89,2 ათასი ლარი, უნივერსიტეტის შესაბამის ანგარიშზე ჩაირიცხა -161,5 ათასი ლარი და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დავალიანების სახით ირიცხება 97,3 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სასწავლო ცენტრები თვითდაფინანსებაზე მყოფი სტრუქტურული ერთეულებია, რომელთა ხარჯთაღრიცხვის (რომელიც საფინანსო - ეკონომიკურ სამსახურთან შეთანხმებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მტკიცდება) შესაბამისად, შემოსავლის 60% პირდაპირ ხარჯებს (ხელფასი, სერტიფიკატი და სხვა), ხოლო 40% კი საერთო საუნივერსიტეტო ხარჯებს უნდა მოხმარდეს.

ჩატარებული აუდიტით დადგენილია, რომ 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სწავლის საფასურის გადაუხდელი ნაწილი 97,3 ათასი ლარი მთლიანად საერთო საუნივერსიტეტო ხარჯების ნაწილზე მოდის.

• შეუსრულებელი 11,4 ათასი ლარის ღირებულების სახელშეკრულებო ვალდებულებებისათვის, არ არის გამოყენებული საჯარიმო სანქციები, რაც ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე 4,9 ათას ლარს შეადგენს. ამასთან ზედამხედველობის თვალსაზრისით გაწეული საქმიანობა, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების ეფექტიანობასა და კანონიერებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოაგენს.

1. უნივერსიტეტის ყოფილი საერთო საცხოვრებლის შენობის ლაბორატორიის ფართის, I სართულის ფასადის და II სართულის ნაწილი ფართის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგების გათვალისწინებით, 2012 წლის 26 სექტემბერს, შპს „გრინ-ლაიტი +“- თან, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N141. სახელშეკრულებო ღირებულება - 97,8 ათასი ლარით, ხოლო სამუშაოთა შესრულების ვადად 2012 წლის 26 ნოემბრამდე პერიოდი განისაზღვრა.

სამუშაოთა შესრულების ვადის ამოწურვამდე 10 დღით ადრე, 2012 წლის 16 ნოემბერს, მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის შესაბამისადაც ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შემცირდა 20,5 ათასი ლარით და 77,3 ათასი ლარი შეადგინა. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას, საფუძვლად დაედო კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის მოხსენებითი ბარათი, რომლის შესაბამისადაც ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მზიდი კედლის არსებული ბათქაშის ნაწილობრივ ჩამოყრა-შებათქაშების სამუშაოების ნაცვლად, აღნიშნულ კედლებზე მუყაო-თაბაშირის ფილების აკვრა იქნა გათვალისწინებული, რაც შეთანხმებული იქნა პროექტის ავტორ სს „აჭარვაპმშენთან“.

ჩატარებული აუდიტით დადგენილია, რომ გარდა ზემოთ აღნიშნული ცვლილებისა, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოებში შეტანილია სხვა არსებითი ხასიათის ცვლილებები, რომელიც არ არის შეთანხმებული პროექტის ავტორთან. ამასთან, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, ჩატარებული სამუშაოების ღირებულება 65,8 ათას ლარს შეადგენს, რაც 11,4 ათასი ლარით ნაკლებია სახელშეკრულებო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაზე. ხელშეკრულების 7.4.2 პუნქტისა (7.4.2. შეასრულოს ხელშეკრულების პირობები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში) და შეუსრულებელი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ადგილი აქვს მიმწოდებლის მიერ

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს, თუმცა დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულად ჩაითვალა და არ იქნა გამოყენებული ხელშეკრულების 9.3 პუნქტი, რაც ვალდებულების შეუსრულებლობისათვის საჯარიმო სანქციის სახით, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 პროცენტის, მოცემულ შემთხვევაში 4,9 ათასი ლარის დარიცხვას ითვალისწინებდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გაფორმებული ხელშეკრულების 5.2 პუნქტის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის შედგენამდე, მიმწოდებელს ევალებოდა ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა 2) დამკვეთისათვის წარდგენა, რაც ასევე არ განხორციელებულა. ზემოთ აღნიშნული მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების კონტროლის, ეფექტურად და კანონიერად განხორციელების მიმართებით.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, უნივერსიტეტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები/ნაკლოვანებები

შიდა კონტროლების სისუსტეები:

1. აუდიტის პერიოდში არ ხდებოდა სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული სამუშაოების დადგენილ ვადაში შესრულების შესახებ, ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ დამოწმებული ანგარიშის წარმოდგენა, რაც შიდა კონტროლის არსებით სისუსტედ უნდა იქნეს განხილული
2. უნივერსიტეტის, 2012 წელს არ აქვს ჩატარებული ქონების, მოთხოვნებისა და

ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც შეუსრულებელია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის” მოთხოვნები.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

• ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

არასათანადო ყურადღება ეთმობა უნივერსიტეტის ბიუჯეტის გეგმის შედგენისა და მისი შესრულების მდგომარეობას. კერძოდ: უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, 2012 წლის შემოსავლების გეგმა 9680,0 ათას ლარს, ხოლო დანახარჯების გეგმა - 11 030,0 ათას ლარს შეადგენდა. საბუღალტრო მონაცემების შესაბამისად, 2012 წლის საპროგნოზო მაჩვენებლები შესრულებულია შემოსავლების ნაწილში 126%-ით, 2526,4 ათასი ლარის გადაჭარბებით, ხოლო დანახარჯების ნაწილში 125%-ით, 2764,0 ათასი ლარის გადახარჯვით. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2012 წლის ბიუჯეტში ბოლო ცვლილება 2012 წლის 13 დეკემბერს განხორციელდა და ამ პერიოდისათვის შესაძლებელი იყო ზუსტად განსაზღვრულიყო შემოსავლებისა და დანახარჯების მუხლების მნიშვნელოვანი ნაწილი.

• ხელფასები და პრემიები

უნივერსიტეტის საბუღალტრო მონაცემების შესაბამისად, 2012 წელს შრომის ანაზღაურების სახით დარიცხულია სულ 8935,8 ათასი ლარი. მათ შორის შტატით გათვალისწინებულ თანამდებობათა შრომის ანაზრაურება 6643,2 ათასი ლარი, საათობრივი ანაზღაურება 1288,4 ათასი ლარი, საპრემიო ფონდი 558,9 ათასი ლარი, საგრანტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურება -177,3 ათასი ლარი, ემირიტუსი -123,2 ათასი ლარი და შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება -268,0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ხელფასების დარიცხვა ხდებოდა მომუშავეთა მიღების, გათავისუფლებისა და გადაადგილების შესახებ ბრძანებების, დამტკიცებული შტატებისა და სარგოების და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად, თუმცა არ წარმოებს სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვა და შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლი.⁵ აღსანიშნავია, რომ 2012 წლის საპრემიო ფონდი შედგება 2012 წლის დეკემბერში უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელზე

⁵ შეუსრულებელია ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321ბრძანების 30-ე მუხლის მე-15 პუნქტის მოთხოვნები

ხელფასის ოდენობის პრემიისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე,
წარმომადგელობითი საბჭოს შესაბამისი დადგენილების საფუძველზე გაცემული
ყოველკვარტალური პრემიის (სულ 10,8 ათასი ლარი) თანხებისაგან.

• სახელმწიფო შესყიდვები


უნივერსიტეტის მიერ, აუდიტის პერიოდში გაფორმებულ ხელშეკრულებებში
შეტანილი ცვლილებები, 3 შემთხვევაში დაგვიანებითაა ატვირთული სახელმწიფო
შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში⁶. კერძოდ:

შესყიდვის დანაყოფის დასახელება	სატენდერო განცხადების ნომერი	შეთანხმების გაფორმების თარიღი	სისტემაში: ატვირთვის თარიღი	მიმწოდებლის დასახელება
1	2	3	4	5
სატრანსპორტო საშ.ტექნიკური მომსახურება	SPA120011067	21.08.2012	24.08.2012	შპს „მონმოტორსი“
შენობის დასრულების სამუშაოები	SPA120023458	16.11.2012	21.11.2012	შპს „გრინ-ლაიტიკ+“
მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები	SPA120024741	09.11.2012	15.11.2012	შპს „გარანტი 2007“


• აქტივების გამოყენება

1. უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული, ყოფილი საერთო საცხოვრებელი შენობის
პირველ და მეორე სართულებზე, 200 კვ.მ ფართი დაკავებული აქვთ ფიზიკურ პირებს
თავიანთი ოჯახებით, რომლებიც არანაირ სამართლებრივ ურთიერთობაში არ არიან
უნივერსიტეტთან. აღნიშნული პირების გამოსახლებასთან დაკავშირებით 2013 წელს 7
თებერვლის №01-15/123 წერილით მიმართეს აჭარის შინაგან საქმეთა მთავარ
სამმართველოს, თუმცა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის ამ მიმართებით
მდგომარეობა არ შეცვლილა.

გოჩა შარაბიძე /უფროსი აუდიტორი/

 24. 12. 2013 წ.

გურანდა გვაზავა /აუდიტორ ასისტენტი/

 24. 12. 2013 წ.

⁶ შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის #98 ბრძანებით
დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და
ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნები

სარეკომენდაციო წერილი

აუდიტის ობიექტი: სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელი: ალიოშა ბაკურიძე

1. გამოვლენილი გარემოება:

საბუღალტრო და საბალანსო მონაცემებს შორის სხვაობა 500,6 ათას ლარს შეადგენს. ამასთან საბუღალტრო მონაცემებში არ არის აღრიცხული უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული 224,4 ათასი კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

რეკომენდაცია

ანგარიშში ასახული მონაცემების შესაბამისად გასწორდეს საბუღალტრო და საბალანსო მონაცემებს შორის სხვაობა და ბუღალტრულად აღირიცხოს 224,4 ათასი კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

2. გამოვლენილი გარემოება

არასწორადაა აღრიცხული აუდიტის პერიოდში განხორციელებული 2125,8 ათასი ლარის ფინანსური ოპერაცია. ამასთან, შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის პირობებში ხარჯებში გაწერილია 26,4 ათასი ლარი.

რეკომენდაცია

ფინანსური ოპერაციების წარმოება უნდა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“

ინსტრუქციის მოთხოვნების სრული დაცვით. ამასთან, სტუდენტების ქვეყნის შიგნით საველე პრაქტიკაზე, სტუდენტურ კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებზე მონაწილეობისათვის ხარჯების ანაზღაურება განხორციელდეს სანათადო პირველადი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

3. გამოვლენილი გარემოება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით, ერთობლივ შემოსავალში არ არის აღრიცხული 118,4 ათასი ლარი.

რეკომენდაცია

მოხდეს კორექტირება უნივერსიტეტის 2012 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციისა და ანგარიშში დაფიქსირებული ფაქტების გათვალისწინებით, ერთობლივი შემოსავალი გაიზარდოს 118,4 ათასი ლარით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

4. გამოვლენილი გარემოება

მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების/კურსების სწავლის საფასურის გადაუხდელი ნაწილი 97,3 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის დარღვევით, მთლიანად საერთო საუნივერსიტეტო ხარჯების ნაწილზე მოდის.

რეკომენდაცია

მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების/კურსების სწავლის საფასურის სახით გადახდილი თახნის გამოყენება განხორციელდეს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. ამასთან, დავალიანების დაფარვის გზით მიღებული თანხები გამოყენებული იქნეს ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული პროპორციის აღდგენის მიზნით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

5. გამოვლენილი გარემოება

აუდიტის პერიოდში არ ხდებოდა სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების შესახებ, ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ დამოწმებული ანგარიშის დადგენილ ვადაში წარდგენა, რაც შიდა კონტროლის არსებით სისუსტედ

უნდა იქნეს განხილული. სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების ეფექტიანობასა და კანონიერებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის თვალსაზრისით გაწეული საქმიანობა მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს შეიცავს. ამასთან, უნივერსიტეტის მიერ, აუდიტის პერიოდში გაფორმებულ ხელშეკრულებებში შეტანილი ცვლილებები, 3 შემთხვევაში დაგვიანებითაა ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში¹.

რეკომენდაცია

დამკვეთის მიერ სამუშაოთა შესრულების ზედამხედველობა განხორციელდეს კანონდებლობისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრული დაცვით, რათა თავიდან იქნეს აცილებული თანხების არამიზნობრივი და არაეფეტური გამოყენების ფაქტები.

ხელშეკრულებებში განხორცილებული ცვლილებები კანონით დადგენილ ვადაში აიტვირთოს შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

6. გამოვლენილი გარემოება

უნივერსიტეტის დაკვეთით, 2012 წელს ჩატარებული სამშენებლო სამუშაოებიდან, 120,8 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები არ არის აღიარებული ძირითად აქტივებად.

	ფიზიკური ან იურიდიული პირი	შესრულებული სამუშაოების დასახელება	წარმოდგენილი ფორმა №2		შენიშვნა
			თარიღი	თანხა	
	შპს „გრინ - ლაიტი +“	ყოფილი საერთო საცხოვრებლის შენობის ლაბორატორიული ფართის, I სართულის ფასადის და II სართულის ნაწილი ფართის რეაბილიტაციის სამუშაოები	26.11.2012	65872	
	შპს განი	სპორტული დარბაზის სართაბილიტაციო სამუშაოები	10.12.2012	21517	ტრენაჟორების ღირებულება
	შპს "დარაბა"	საერთო საცხოვრებლის შენობის პრეცენტი სართულის ნაწილის ფართზე ლაბორატორიისა და აუდიტორიის მოწყობა	25.04.2012	33455	ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილი
	ჯამი			120844	

¹ შესრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 პრილის #98 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნები

აღნიშნული სამუშაოების ჩატარებით მოხდა ძირითადი აქტივების კაპიტალური შეკეთება, რითაც არსებითად გაუმჯობესდა ძირთადი აქტივების ხარისხი და გაიზარდა სასარგებლო მომსახურების ვადა, შესაბამისად სარემონტო და სამშენელო სამუშაოების ღირებულებით უნდა გაზრდილიყო ძირითადი აქტივების ღირებულება².

უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული, ყოფილი საერთო საცხოვრებელი შენობის პირველ და მეორე სართულებზე, 200 კვ.მ ფართი დაკავებული აქვთ ფიზიკურ პირებს თავიანთი ოჯახებით, რომლებიც არანაირ სამართლებრივ ურთიერთობაში არ არიან უნივერსიტეტიან.

უნივერსიტეტს, 2012 წელს არ აქვს ჩატარებული ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც შეუსრულებელია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის” მოთხოვნები.

რეკომენდაცია

წარმოდგენილი მონაცემების შესაბამისად 120,8 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები აღიარებული იქნას ძირითად აქტივებად.

ფიზიკური პირების მიერ, უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ყოფილი საერთო საცხოვრებლის შენობის სარგებლობის სამართებლივი ფორმის განსაზღვრის მიზნით, შეტანილი იქნეს სარჩელი ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

ჩატარდეს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

7. გამოვლენილი გარემოება:

არასათანადო ყურადღება ეთმობა უნივერსიტეტის ბიუჯეტის გეგმის შედგენისა და მისი შესრულების მდგომარეობას.

რეკომენდაცია

უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენა განხორციელდეს შემოსავლების რესურსის რეალური შეფასებისა და ხარჯების დეტალური ანალიზის საფუძველზე. ხოლო შემდგომ უზრუნველყოფილ იქნეს მისი განუხრელი შესრულება.

² შეუსრულებელია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-5 და 24-ე მუხლის მე-14 და მე-19 პუნქტების მოთხოვნები.

8. გამოვლენილი გარემოება:

უნივერსიტეტში არ წარმოებს სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვა და შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლი.³

რეკომენდაცია

ხელფასის დარიცხვა უნდა განხორციელდეს მომუშავეთა მიღების, გათავისუფლებისა და გადაადგილების შესახებ ბრძანებების, დამტკიცებული შტატებისა და სარგოების, ორგანიზაციის მიერ დადგენილი ფორმით სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვის (სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და სპეციალური ტექნიკური საშუალება) და შრომითი ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული სხვა დოკუმენტების შესაბამისად.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

უფროსი აუდიტორი

გ. შარაბიძე

აუდიტორ ასისტენტი

გ. გავაზავა

³ შეუსრულებელია ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის „შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321ბრძანების 30-ე მუხლის მე-15 პუნქტის მოთხოვნები

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ანგარიშგების ფორმები

ანგარიშგების ფორმები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ორგანიზაციის

ჩალანსი

ორგანიზაციის დასახელება
სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ჩამარჯების ვადა

ჩააბარა

(ხელმოწერა)

მუნიციპალურიადა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული:

2013 წლის 01 იანვრის მდგომარეობით

აუდიტის დეპარტამენტი აქარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ანგარიშგების ფორმები

კატეგორია	აქტივები	მიმღების ნომერი	ნაშთი წლის დასახურისათვის	ნაშთი წლის (კვალიტეტი) მილიარდი
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და შოთავონები				
010	ნაღდი ფული საღარიში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული საჭარიში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმღები ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	1 403 633	2 168 434
040	მიმღები ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220	63 738	169 127
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240	120 224	194 266
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკას ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტი ბაზინში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტი ბაზინში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	საზონის საგანვითო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები საზონში	1290		
120	ფასარი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1 310		
130	მოკლევადინი სესხები	1 320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1 330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1 340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1 351		
170	არასამუშავებულ სესხებზე დარიცხული პროცენტები	1 352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1 353		
190	მოთხოვები დარიცხული ჯარიმებით, სანქციით და საკუთრებასთან დაკავშირდებული სხვა შემოსვლებით	1 354		
	მოთხოვები ფულად სახსრებზე და მათ უჭირვალებულზე			
200	აქტივების/მოშაბურების მიწოდებით	1 355	1 887 626	1 142 219
210	გადახდილი დღე	1 356	6 931	7 562
220	წინასწარ გადახდილი მოვების გადასახადი	1 357	158 264	97 638
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1 358	182 840	118 964
240	მოთხოვები ფულად სახსრების და მათი ეკივალენტების დანაკლისებით	1 359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადინი ფინანსური აქტივები	1 360		
260	მოთხოვები ბარტერით	1 410		
270	მოთხოვები სადაზღველო კომპანიების მიმართ	1 420		
280	მოთხოვები წინასწარ გადახდებით	1 430		
290	მოთხოვები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1 440		
300	ანგარიშებულდებული პირების მიმართ მოთხოვები	1 450		
310	მომუშავების მიმართ მოთხოვები	1 460	33 685	13 236
320	მოთხოვები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1 470		
330	სხვა დანარჩენი მოკლევადინი მოთხოვები	1 480		
340	გრძელვადინი სესხები	1 510		
350	სხვა გრძელვადინი ფინანსური აქტივები	1 520		
360	სხვა გრძელვადინი მოთხოვები	1 530		
II. ანფინანსური აქტივები				
370	სტანდარტული მარტები	1610		
380	სხვა მარტერიალური მარტები	1620	230 275	251 312
390	შენობა-ნაგებობები	2110	3 685 091	3 599 323
400	მანქანა-დანადარტები და ინვენტრი	2120	1 766 636	1 814 358
410	სხვა მოწილადი აქტივები	2130	69 203	55 403
420	დაუმოადრებული მოწილადი აქტივი	2140		
430	გრძელვადინი მცირებულება აქტივები	2200	140 300	17 275
440	ფასეულობები	2300	6 223	6 223
